გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს მ ა რ თ ვ ი ს
ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ს ი ს ტ ე მ ა
თბილისი, 0160, ფანჯიკიძის ქ. 1ა
ელ.ფოსტა: info@emis.ge
ტელ.: +995 322 200220

EDUCATION MANAGEMENT
INFORMATION SYSTEM
1a Panjikidze st, 0160, Tbilisi, Georgia
E-mail: info@emis.ge
Phone: +995 322 200220

MES 6 14 00994389

10/12/2014

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2014 წლის ანგარიშს:

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს 2014 წლის 01 იანვრიდან 04 ივლისამდე და 2014 წლის 12 ნოემბრიდან დღემდე წარმოადგენს რეესტრის წარმოების სამსახურის უფროსი - ნინო თოდუა, ხოლო 2014 წლის 04 ივლისიდან 2014 წლის 12 ნოემბრამდე პერიოდში - ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი - ლევან ტურაშვილი. ორივე მათგანმა წარმოდგენილ ყველა განაცხადზე განახორციელა შესაბამისი რეაგირება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ წარმოდგენილი იქნა სულ 94 განცხადება. საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე შემოსული იყო 73 განცხადება, აქედან ერთი განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ვინაიდან სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა არ ფლობდა მოთხოვნილ ინფორმაციას. დანარჩენი 21 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოიცავდა პერსონალურ მონაცემებს, რომელთაგან 11 განცხადებაზე განმცხადებლებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უარი ეთქვათ ინფორმაციის გაცემაზე, ხოლო 10 განაცხადი დაკმაყოფილდა, ასევე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა პერსონალური ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მოთხოვნა არ შემოსულა.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. შესაბამისად, არ გვაქვს ინფორმაცია გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების თაობაზე.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დასაქმებულ პირთა მიერ არ დარღვეულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, შესაბამისად დისციპლინური სახდელების დადების ფაქტიც არ განხორციელებულა.

რაც შეეხება საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს, 2014 წელს გაცემულმა საჯარო ინფორმაციამ არ გადააჭარბა „სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წლის განმავლობაში მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ“ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2014 წლის 14 იანვრის N1.1/13 ბრძანებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის მინიმალურ ოდენობას: A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი - 300 ფურცელი, ხოლო ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი - 700 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა ვერულავა
უფროსი

სსიპ განათლების მართვის
საინფორმაციო სისტემის უფროსი



ვერულავა ლაშა